რწმუნებულება

შპს „სკა ისტეიტი“ (ს.ნ.400351588, შემდგომში - „მარწმუნებელი“) წარმოდგენელი დირექტორის **გიორგი ქრისტინაშვილის** (პირადი ნომერი 01002008207) მიერ, ანიჭებს უფლებამოსილებას **შპს „დიდი დიღომი რეზიდენს“-ს** (ს.ნ. 404665331, შემდგომში - „რწმუნებული“), წარმოდგენილი დირექტორის **გიორგი ხუციშვილის** (პირადი ნომერი 59001014461) სახით, რათა მან „მარწმუნებლის“ (შპს „სკა ისტეიტი“-ს) სახელით განახორციელოს შემდეგი უფლებამოსილებები:

1. წარმოადგინოს „მარწმუნებელი“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, შპს „სკა ისტეიტი“-ს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, მდებარე ქალაქი თბილისი, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი N13 ს.კ. **01.10.06.022.011; ს.კ. 01.10.06.022.012 ს.კ 01.10.06.022.013**, განაშენიანების რეგულირების გეგმის მომზადება/მიღება/დამტკიცებასთან დაკავშირებით, განახორციელოს მათში ცვლილებების შეტანა, პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად აუცილებელი ყველა დოკუმენტის მომზადება და წარდგენა, მათ შორის შეთანხმებული სანებართვო დოკუმენტაციის კორექტირება; ასევე ეძლევა უფლებამოსილება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მოახდინოს მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის ცვლილება და შემდეგ მისი დაყოფა განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

2. წინამდებარე რწმუნებულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის წარადგინოს/ატვირთოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია, პროექტები, ნახაზები, ხელი მოაწეროს განცხადებებს/დოკუმენტებს, ყველა ოფიციალურ საბუთს, ატვირთოს საიტებზე დოკუმენტაცია, მიიღოს მონაწილეობა განხილვაში, დამტკიცებაში და შეასრულოს ამ დავალებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედება, მიიღოს შეთანხმებული დოკუმენტაცია და ნებართვები, დააყენოს მოთხოვნები უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე და თავად განსაზღვროს ამ მოთხოვნათა შინაარსი.

3. შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ან აუკრძალავი ნებისმიერი ქმედება, რომელიც პირდაპირ არ არის მითითებული წინამდებარე რწმუნებულებაში, მაგრამ „რწმუნებულის“ აზრით საჭირო და აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, აგრეთვე წინამდებარე რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილებებისა და გაცემული დავალებების შესასრულებლად.

წინამდებარე რწმუნებულება გაცემულია გადანდობის უფლებით და ძალაშია 2027 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

გიორგი ქრისტინაშვილი

დირექტორი

შპს სკა ისტეიტი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N260162684
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	10.02.2026 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმებ
ნოტარიუსი	ნინო ხოფერია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 24/1
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 32 2 98 70 24
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	94455462947726

საქართველო

ორიათას ოცდაექვსი წლის ათ თებერვალს, მე, ნოტარიუსი ნინო ხოფერია, სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 24/1 ვამოწმებ გიორგი ქრისტინაშვილის (დაბ. 24.05.1978წ. რეგ.მის. თბილისი ვაშლიჯვარი იასამნის ქ. N 6 ბ. 50, პირადი ნომრით: 01002008207) ხელმოწერის ნამდვილობას. ხელმოწერა შესრულებულია მის მიერ ნოტარიუსის თანდასწრებით, ხელმომწერს განემარტა, რომ ხელისმოწერით დოკუმენტის შინაარსი არ მოწმდება, რაზედაც მან განაცხადა თანხმობა. დოკუმენტზე ხელმომწერის პირადობა დადგენილია, ქმედუნარიაუნობა შემოწმებულია. დოკუმენტი წარმოდგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად.

სულ დამოწმებულია 3 (სამი) ხელმოწერა.

სანოტარო საზღაური – 18.00 (თვრამეტი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 2011წ. 29.12. #507 მთავრობის დადგენილების მუხლი 31, აგრეთვე დღგ თანახმად საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, 5 (ხუთი) ლარი, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ 39-ე პ.1 მუხლის შესაბამისად, სულ გადახდილია 26.24 (ოცდაექვსი ლარი და ოცდათხი თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი: ნინო ხოფერია

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**